თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5523686

ნომერი: AR1829838

თარიღი : 08.06.2021

გაცემის თარიღი : 28.07.2021

გაცნობის თარიღი : 28.07.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 194;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სერგო გიორგაია პ/ნ 37001058879
- თბილისი, ყიფშიძის 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 8 ივნისის №AR1829838 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406157 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2021 წლის 29 ივნისის №5477787 ბრძანებით და 2021 წლის 20 ივლისის №5510804 გადაწყვეტილებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ არ არის გამოსწორებული დადგენილი ხარვეზები, კერძოდ საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული და საზაფხულო ფართობები ისევ დატანილია სავენტილაციო შახტების, სადარბაზოს და ბინის გამყოფი კედლების ფართობების ჩათვლით. ამასთან, განცხადება ისევ არ არის დარეგისტრირებული ,,ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში'' ნომენკლატურით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ განგიმარტავთ, რომ საჭიროა დააზუსტოთ მოთხოვნა საცხოვრებელ, საოფისე, კომერციულ, საზაფხულო და საერთო ფართობებთან დაკავშირებით და ასევე, წარმოადგინოთ სამსახურის 2021 წლის 17 მაისის №5406157 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე), რომლებზეც საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული და საზაფხულო ფართობები დატანილი იქნება სავენტილაციო შახტების, კოლონების და გამყოფი კედლების ფართობების გამოკლებით. ამასთან, საჭიროა განცხადება დაარეგისტრიროს ,,ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტში'' ნომენკლატურით.
ვინაიდან, სამსახურის 2021 წლის 20 ივლისის №5510804 გადაწყვეტილებას გაეცანით 2021 წლის 27 ივლისს, ხარვეზის შევსებისთვის განსაზღვრული 16 (თექვსმეტი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, თქვენი 2021 წლის 8 ივნისის №AR1829838 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.